ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9724023001
თარიღი:23/01/2024

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომა N-02

დ. ლენტეხი.

თამარ მეფისქ.N-24 18 იანვარი 2024წ.

მიმდინარე წლის 18 იანვარს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 15 (თხუთმეტი) წევრი. სხდომას ესწრებოდა: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი თეა ტვილდიანი, იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე, მერიის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი სოზარ ბენდელიანი.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატის) ხელმძღვანელი მაყვალა ჩანქსელიანი.

საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

/მომხს: მერიის სოც. სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი თეა ტვილდიანი/

2.,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისა და მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N-27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

3. 2024 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა,პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის N-28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ლამზირა გუგავა/

4. ,, 2024 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და

თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N-30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი სოზარ ბენდელიანი/

5. სხვადასხვა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

დღის წესრიგის დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა.

მომხრე -15

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1.მოისმინეს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა თეა ტვილდიანმა სხდომის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა დაწვრილებით გაშიფრა თითოეული მუხლი. აღნიშნა, რომ ოპერაციებისთვის გათვალისწინებულია მაქსიმუმ 1000 (ათასი) ლარი, ცოტათი გაიზარდა დიალიზზე დამოკიდებული პირების დაფინანსება.იყო 100 (ასი) ლარი და იქნება 200(ორასი) .

შეკითხვა დასვა საკრებულოს წევრმა დალი ტვილდიანმა - წინა პერიოდში იყო მსჯელობა ცაგერში დიალიზის ცენტრის გახსნაზე და თუ გვაქვს ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით.

მომხსენებელმა პასუხად აღნიშნა, რომ იყო ამ საკითხზე მსჯელობა, მაგრამ არ მოგვარდა. რა თქმა უნდა ეს საკითხი არის ძალიან რთული და მტკივნეული ავადმყოფებისთვის, რადგანაც კვირაში ორჯერ უწევთ ქ. ქუთაისში წასვლა.

საკითხთან დაკავშირებით სხვა შეკითხვა არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ დადგენილების პროექტი დააყენა კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -15

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

2. მოისმინეს: იურიდიული სამსახურის უფროსმა ტარიელ აფაქიძემ სხდომის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - .,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისა და მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N-27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა განმარტა, რომ დადგენილება .,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისა და მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ დამტკიცდა 2023 წლის 28 დეკემბერს. მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამემტის მიერ განხორციელდა მიღებული ნორმატიული აქტის სამართლებრივი ზედამხედველობა. სამართლებრივი ექსპერტიზის შედეგად გამოვლინდა ხარვეზები. ეს ხარვეზები გასწორდა და წარმოდგენილი გვაქვს დადგენილების პროექტი:

დადგენილებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში ცვლილება შედის შემდეგი სახით.

1.ინსტრუქციის მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 6. მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლება

მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლებულია:

ა) სტიქიური უბედურების შედეგად დაზიანებული ობიექტის მშენებლობა, თუ ახალასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ფართობი არ აღემატება დაზიანებული ობიექტით დაკავებულ ფართობს;

ბ) მოსაკრებლის განაკვეთი 50%-ით მცირდება სტიქიური უბედურების შედეგად დაზიანებული ობიექტის ნაცვლად ახალასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებულ განაშენიანების დამატებით ფართობზე, რომლითაც იგი აღემატება დაზიანებული ობიექტით დაკავებულ ფართობს.

გ) თუ მშენებლობის ნებართვის მაძიებელია მუნიციპალიტეტი თავის ტერიტორიაზე ან ,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამინისტრო ან მის გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება."

2.ინსტრუქციის მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 7. მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო

ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გამცემი არის ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერი. ნებართვა გაიცემა მერის ბრძანების საფუძველზე შედგენილი სანებართვო მოწმობის ფორმით."

მუხლი 2.დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგით: მომხრე -15

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი - .,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისა და მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N-27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

3. მოისმინეს: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ლამზირა გუგავამ სხდომის წევრებს დააცნო დადგენილების პროექტი - 2024 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა,პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის N-28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა განმარტა, რომ აღნიშნული დადგენილება დამტკიცდა 2023 წლის 28 დეკემბერს. მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამემტის მიერ განხორციელდა მიღებული ნორმატიული აქტის სამართლებრივი ზედამხედველობა. სამართლებრივი ექსპერტიზის შედეგად გამოვლინდა ხარვეზები. კერძოდ: საჯარო მოსამსახურეთა 2024 წლის თანამდებობრივი სარგოების დაანგარიშება უნდა მომხდარიყო საბაზო თანამდებობრივ სარგოს 1330 ლარის მიხედვით. ხარვეზები გასწორდა და წარმოდგენილი გვაქვს დადგენილების პროექტი გასწორებული სახით:

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა 2024 წლის საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები

N	**თანამდებობის დასახელება**	**რანგი**	**საშტატო რიცხოვნობა**	**თანამდებობრივი სარგო (ლარი)**
1	საკრებულოს თავმჯდომარე		1	5439
2	საკრებულოს თავმჯდომარის		1	3498

	პირველი მოადგილე			
3	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე		2	3138
4	კომისიის თავმჯდომარე		5	2899
5	ფრაქციის თავმჯდომარე		3	2660
6	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე		6	2048
	საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)			
7	საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატის) პროფესიული საჯარო მოხელე- პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატის) უფროსი	I-რანგი	1	2660
8	საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატის) პროფესიული საჯარო მოხელე - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III-რანგი	6	1596
9	საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატის) პროფესიული საჯარო მოხელე - პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	IV-რანგი	2	1330
	ჯამი		27	

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედებით წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობები გავრცელდეს 2024 წლის 1 იანვრიდან.

აზრი გამოთქვა: სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა - რადგანაც თანამდებობრივი სარგოები გასწორდა კანონის შესაბამისად, ჩვენ დამატებითი კითხვა არ გვაქვს.

სხდომის თავმჯდომარემ დადგენილების პროექტი - 2024 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა,პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის N-28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 15

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი - 2024 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა,პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის N-28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

4. მოისმინეს: მერიის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსმა სოზარ ბენდელიანმა სხდომის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - ,, 2024 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N-30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა განმარტა, რომ აღნიშნულ დადგენილებაში იყო იგივე ხარვეზები, რაც საკრებულოს საშტატოში. თანამდებობრივი სარგოები ხელახლა დავიანგარიშეთ საბაზო ხელფასის 1330 -ის მიხედვით და წარმოდგენილი გვაქვს ახალი სარგოები:

დანართი N1

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა 2024 წლის საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები

N	სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და თანამდებობების დასახელება	რანგი	საშტატო რიცხოვნობა	თანამდებობრივი სარგო (ლარი)
1	**მერი**		**1**	**5798**
2	**მერის პირველი მოადგილე**		**1**	**4468**
3	**მერის მოადგილე**		**1**	**4109**
	სულ		**3**	
I	**ადმინისტრაციული სამსახური**			
1	**მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პროფესიული საჯარო მოხელე პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი**	**I რანგი**	**1**	**2660**
2	**მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პროფესიული საჯარო მოხელე პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე**	**II რანგი**	**1**	**2394**
	საქმისწარმოების განყოფილება			
3	საქმისწარმოების განყოფილების პროფესიული საჯარო მოხელე მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი	**II რანგი**	**1**	**2128**
4	საქმისწარმოების განყოფილების პროფესიული საჯარო მოხელე II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	**III რანგი**	**2**	**1596**
5	საქმისწარმოების განყოფილების პროფესიული საჯარო მოხელე I კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	**IV რანგი**	**2**	**1330**
	ადამიანური რესურსების მართვისა და საორგანიზაციო საკითხების განყოფილება			
6	ადამიანური რესურსების მართვისა და საორგანიზაციო საკითხების განყოფილების პროფესიული საჯარო მოხელე მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი	**II რანგი**	**1**	**2128**
7	ადამიანური რესურსების მართვისა და საორგანიზაციო საკითხების განყოფილების პროფესიული საჯარო მოხელე II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	**III რანგი**	**1**	**1596**
	საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება			

8	საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების პროფესიული საჯარო მოხელე მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი	**II რანგი**	**1**	**2128**
9	საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების პროფესიული საჯარო მოხელე II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	**III რანგი**	**2**	**1596**
	მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობის განყოფილება			
10	მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობის განყოფილების პროფესიული საჯარო მოხელე მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი	**II რანგი**	**1**	**2128**
11	მერის წარმომადგენელი დაბა ლენტეხის ადმინისტრაციულ ერთეულში --ადმინისტრაციული ხელშეკრულება		**1**	**1573**
12	მერის წარმომადგენელი ხელედის, ჟახუნდერის, ჩიხარეშის, ჩოლურის, რცხმელურის, ხოფურის, ცანის ადმინისტრაციულ ერთეულში -- ადმინისტრაციული ხელშეკრულება		**7**	**1452**
	სულ		**21**	
II	**იურიდიული სამსახური**			
1	**მერიის იურიდიული სამსახურის პროფესიული საჯარო მოხელე პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი**	**I რანგი**	**1**	**2660**
	საკრებულოსა და მერიის სამართლებრივი მომსახურების განყოფილება			
2	საკრებულოსა და მერიის სამართლებრივი მომსახურების განყოფილების პროფესიული საჯარო მოხელე მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი	**II რანგი**	**1**	**2128**
3	საკრებულოსა და მერიის სამართლებრივი მომსახურების განყოფილების პროფესიული საჯარო მოხელე II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	**III რანგი**	**1**	**1596**
	სულ		**3**	
III	**შიდა აუდიტის სამსახური**			
1	**მერიის შიდა აუდიტის სამსახურის პროფესიული საჯარო მოხელე პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი**	**I რანგი**	**1**	**2660**
	შიდა აუდიტის კონტროლის განყოფილება			
2	შიდა აუდიტის კონტროლის განყოფილების პროფესიული საჯარო მოხელე მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი	**II რანგი**	**1**	**2128**
	რეკომენდაციების მონიტორინგის განყოფილება			
	რეკომენდაციების მონიტორინგის განყოფილების პროფესიული საჯარო მოხელე მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი	**II რანგი**	**1**	**2128**

3				
4	შიდა აუდიტის სამსახურის, პროფესიული საჯარო მოხელე II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	**III რანგი**	**1**	**1596**
	სულ		**4**	
IV	**საფინანსო საბიუჯეტო სამსახური**			
1	**მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის პროფესიული საჯარო მოხელე პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი**	**I რანგი**	**1**	**2660**
	ბიუჯეტის დაგეგმვის, ანალიზისა და შესრულების კონტროლის განყოფილება			
2	ბიუჯეტის დაგეგმვის, ანალიზისა და შესრულების კონტროლის განყოფილების პროფესიული საჯარო მოხელე მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი	**II რანგი**	**1**	**2128**
3	ბიუჯეტის დაგეგმვის, ანალიზისა და შესრულების კონტროლის განყოფილების პროფესიული საჯარო მოხელე II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	**III რანგი**	**1**	**1596**
	საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილება			
4	საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილების პროფესიული საჯარო მოხელე მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი	**II რანგი**	**1**	**2128**
5	საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილების პროფესიული საჯარო მოხელე II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	**III რანგი**	**1**	**1596**
	მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება			
6	მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების პროფესიული საჯარო მოხელე მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი	**II რანგი**	**1**	**2128**
7	მატერიალურ ტექნიკური განყოფილების პროფესიული საჯარო მოხელე II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	**III რანგი**	**1**	**1596**
	შესყიდვების განყოფილება			
8	შესყიდვების განყოფილების პროფესიული საჯარო მოხელე მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი	**II რანგი**	**1**	**2128**
9	შესყიდვების განყოფილების პროფესიული საჯარო მოხელე II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	**III რანგი**	**1**	**1596**
	სულ		**9**	
V	**მერიის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური**			
	მერიის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის პროფესიული საჯარო მოხელე პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	**I რანგი**	**1**	**2660**

1				
2	**მერიის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის პროფესიული საჯარო მოხელე პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე**	**II რანგი**	**1**	**2394**
	სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამშენებლო რეგულირების განყოფილება			
3	სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამშენებლო რეგულირების განყოფილების პროფესიული საჯარო მოხელე მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი	**II რანგი**	**1**	**2128**
4	სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამშენებლო რეგულირების განყოფილების პროფესიული საჯარო მოხელე II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	**III რანგი**	**1**	**1596**
	ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილება			
5	ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილების პროფესიული საჯარო მოხელე მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი	**II რანგი**	**1**	**2128**
6	ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილების პროფესიული საჯარო მოხელე II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	**III რანგი**	**1**	**1596**
	სულ		**6**	
VI	**მერიის ზედამხედველობის სამსახური**			
1	**მერიის ზედამხედველობის სამსახურის პროფესიული საჯარო მოხელე პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი**	**I რანგი**	**1**	**2660**
	სამშენებლო საქმიანობის ზედამხედველობის განყოფილება			
2	სამშენებლო საქმიანობის ზედამხედველობის განყოფილების პროფესიული საჯარო მოხელე მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი	**II რანგი**	**1**	**2128**
3	სამშენებლო საქმიანობის ზედამხედველობის განყოფილების პროფესიული საჯარო მოხელე I კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	**IV რანგი**	**1**	**1330**
	ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისა და უნებართვო საქმეთა კონტროლის განყოფილება			
4	ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისა და უნებართვო საქმეთა კონტროლის განყოფილების პროფესიული საჯარო მოხელე მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი	**II რანგი**	**1**	**2128**
	ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისა და უნებართვო საქმეთა კონტროლის განყოფილების პროფესიული საჯარო მოხელე II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	**III რანგი**	**1**	**1596**

5				
	სულ		**5**	
VII	**მერიის განათლების, კულტურის, სპორტის განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახური**			
1	**მერიის განათლების, კულტურის, სპორტის განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურის პროფესიული საჯარო მოხელე პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი**	**I რანგი**	**1**	**2660**
	განათლების, კულტურისა და გენდერულ საკითხთა განყოფილება			
2	განათლების, კულტურისა და გენდერულ საკითხთა განყოფილების პროფესიული საჯარო მოხელე მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი	**II რანგი**	**1**	**2128**
3	განათლების, კულტურისა და გენდერულ საკითხთა განყოფილების პროფესიული საჯარო მოხელე II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	**III რანგი**	**1**	**1596**
	სპორტის, ახალგაზრდობისა და ტურიზმის განვითარების განყოფილება			
4	სპორტის, ახალგაზრდობისა და ტურიზმის განვითარების განყოფილების პროფესიული საჯარო მოხელე მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი	**II რანგი**	**1**	**2128**
5	სპორტის, ახალგაზრდობისა და ტურიზმის განვითარების განყოფილების პროფესიული საჯარო მოხელე II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	**III რანგი**	**1**	**1596**
	კულტურული მემკვიდრეობის დაცვის განყოფილება			
6	კულტურული მემკვიდრეობის დაცვის განყოფილების პროფესიული საჯარო მოხელე მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი	**II რანგი**	**1**	**2128**
	სულ		**6**	
VIII	**ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური**			
1	**მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის პროფესიული საჯარო მოხელე პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი**	**I რანგი**	**1**	**2660**
	ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება			
2	ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების პროფესიული საჯარო მოხელე მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი	**II რანგი**	**1**	**2128**

3	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის პროფესიული საჯარო მოხელე II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	**III რანგი**	**1**	**1596**
	სოციალური დაცვის განყოფილება			
4	სოციალური დაცვის განყოფილების პროფესიული საჯარო მოხელე მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი	**II რანგი**	**1**	**2128**
5	სოციალური დაცვის განყოფილების პროფესიული საჯარო მოხელე I კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	**IV რანგი**	**1**	**1330**
	სულ		**5**	
IX	**ეკონომიკური განვითარების სამსახური**			
1	**მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის პროფესიული საჯარო მოხელე პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი**	**I რანგი**	**1**	**2660**
	ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილება			
2	ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების პროფესიული საჯარო მოხელე მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი	**II რანგი**	**1**	**2128**
3	ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების პროფესიული საჯარო მოხელე II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	**III რანგი**	**1**	**1596**
4	ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების პროფესიული საჯარო მოხელე I კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	**IV რანგი**	**1**	**1330**
	მოსაკრებლების ადმინისტრირებისა და კონტროლის განყოფილება			
5	მოსაკრებლების ადმინისტრირებისა და კონტროლის განყოფილების პროფესიული საჯარო მოხელე მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი	**II რანგი**	**1**	**2128**
6	მოსაკრებლების ადმინისტრირებისა და კონტროლის განყოფილების პროფესიული საჯარო მოხელე II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	**III რანგი**	**1**	**1596**
7	მოსაკრებლების ადმინისტრირებისა და კონტროლის განყოფილების პროფესიული საჯარო მოხელე I კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	**IV რანგი**	**1**	**1330**
	სულ		**7**	
	სულ ჯამი		**69**	

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედებით წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობები გავრცელდეს 2024 წლის 1 იანვრიდან.

შენიშვნა დადგენილების პროექტთან დაკავშირებით არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 15

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილება - ,, 2024 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N-30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დამთავრდა 14 საათზე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი